№ 201 სექტემბერი 25, კვირა 1888 სექტემბერი 25, კვირა № 201


| გაზეთი ღირს | | | | |
|---|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 28 სექტემბ.

---

გაზეთი „ივერია“ პირველ ოქტომბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 50 კ.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“

## გამგეობა

აცხადებს, რომ სოფ. დიდ-თონეთის (ტფილისის მაზრა) სკოლაში თავისუფალია მასწავლებლის ადგილი. ვისაც სურს ამ ადგილის დაჭერა, უნდა გამოგზავნოს თხოვნა საზოგადოების კანცელარიაში.

ჯამაგირი წელიწადში 300 მანათია.

---

პარასკევს, 30 ენკენისთვეს, საღამოს 7 საათზე, ტფილისის საადგილმამულო ბანკის ზალაში მოხდება:

ქართულ დრამატიულ საზოგადოების

წლიური კრება.

განიხილება: 1) წარსულის წლის ანგარიში, 2) მომავალის წლის სავარაუდო ანგარიში და 3) იქნება საზოგადოების ახალის წევრების ამორჩევა. (3—2)

---

ქართული თეატრი

სეზონის დასაწყისი

ორშაბათს, 26 ენკენისთვეს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება:

## ციმბირელი

კომედია 4 მოქმედებად, ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, მელიქოვისა, თამაროვისა და ტატიშვილისა და ბ-ნი აბაშიძე, ყიფიანი, აწყურელი, გამყრელიძე და სხ.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ.

---

ტფილისი, 24 სექტემბერი

ამ რამდენისამე დღის განმავლობაში ჩვენ ორი ამბავი დავბეჭდეთ გუდამაყრელების შესახებ. ორივე ამბავი ეხება იმ უსიამოვნებას, რომელიც მომხდარა ახოობის დღეობაზე. მოამბენი გვწერდნენ, რომ განზრახვა იყო, მთავრობის განკარგულების ძალით, აეკრძალათ გუდამაყრელებისათვის ოხოობის დღეობა და არ მიეშვათ ხალხი დანიშნულს ადგილამდე. ვისაც ეს განკარგულება უნდა აესრულებინათ, მოამბეთა სიტყვით, მეტად გულ-მოდგინედ და სასტიკად ჰმოქმედებდნენ და არავითარი საშუალება არ დაუზოგიათ, რომ განკარგულება შეესრულებინათ. გზაზე დარაჯიც დაუყენებიათ, რომელსაც ხალხი დღეობაზე არ უნდა გაეშვა, — მუქარითაც მიუმართავსთ ხალხისათვის, მაგრამ აქედგან არა გამოსულა-რა; მხოლოდ გაგულისებულს ხალხს უთქვამს, ჩვენს ჩვეულებას ვერ მოგვაშლევინებთო, და კიდევაც წამოწეულა იმათკენ, ვინც გზაზე გადაეღობათ. მხოლოდ ერთს ადგილობრივს მღვდელს, იქაურსავე მთიელს, ტკბილისა და მოსწრებულის სიტყვით დაუმშვიდებია ხალხი და ყველასათვის აუცილებია შფოთი და უსიამოვნება.

ეს ამბავი მეტად საყურადღებოა და საგულისხმოა იმიტომ, რომ გვიჩვენებს, თუ რამდენად გამჯდარი აქვს ხალხს ძვალ-რბილში ესა თუ ის ჩვეულება, რწმენა და რა საშუალებით შესაძლოა გაცმა იმოქმედოს ხალხზე. ეს შემთხვევა გვიმტკიცებს, რომ ძველს ჩვეულებასთან ბრძოლა მეტად საფრთხილო საქმეა, მეტადრე მაშინ, როცა ჩვეულების მოწინააღმდეგეთ მოხერხება არ შესწევთ ბრძოლის გასწიონ. ყოველი ჩვეულება, რომელიც ძველთაგან მომდინარეობს, ისე შეთვისებული აქვს ხოლმე ხალხს, რომ მუქარითა და ცარიელის სიტყვით იმისი აღმოფხვრა ყოვლად შეუძლებელი საქმეა, რადგანაც მუქარითა და დაუსაბუთებელის სიტყვით შეუძლებელია ხალხს დაუმტკიცოთ, რომ ესა და ეს ჩვეულება მავნებელი და მაზარალებელია. ერთის სიტყვით, რაც მკვიდრად შეთვისებული აქვს ადამიანს, იმას ხალხი მუქარით არ გასცვლის; პირ-იქით, კიდევ უფრო გულ-მოდგინედ ჩაეჭიდება ძველს ჩვეულებას, რწმენასა და შესაძლოა იმის დასაცველად რაიმე უსიამოვნებაც მოახდინოს. კაცის ბუნება მეტად რთული საგანია და საჭიროა, ვისაც ხალხთან საქმე აქვს, ამ რთულს საგანს ანგარიში გაუწიოს და არ დაივიწყოს, რომ ერთის კალმის მოსმით შეუძლებელია კაცმა რთულს საგანს სული ამოართვას. საზოგადოდ ცნობილი და დამტკიცებულია, რომ ზნე-ჩვეულებასთან ძალითა და მუქარით ბრძოლას კარგი ნაყოფი არ მოუტანია და ვერც მოიტანს და ამ გვარი ბრძოლა ყოფილა მიზეზი დიდის განხეთქილებისა.

ამ შემთხვევაშიაც, რომელიც ჩვენ ზემოდ მოვიხსენიეთ, მუქარას და ძალ-დატანებას კინაღამ შეტაკება არ გამოუწვევია და რაიმე უბედურება რომ მომხდარიყო, ეს, სამწუხაროდ, ისევ ამ გუდამაყრელებს დაჰბრალდებოდათ და არა განკარგულების აღმასრულებელთ. კიდევ კარგი, რომ იქვე დაესწრო ადგილობრივ გარემოებათა მცოდნე კაცი, რომელმაც ხალხი დაამშვიდა და განსაცდელს გადაარჩინა. ეს კაცი თვითონ მთიელი ყოფილა და ამის სიტყვას, ვითარცა ადგილობრივის ხასიათის მცოდნე კაცისას, კიდეც უმოქმედნია გულ-მოსულს ხალხზე. ესეც იმისი საბუთია, რომ ყოველს საქმეში თვით საგნის შეგნება და ცოდნაა საჭირო. თუ დროზე ამისთანა კაცი არ გამოსჩენოდათ გუდამაყრელებს, საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ საქმე ისე მშვიდობიანად არ გათავდებოდა.

სამწუხაროდ, ჩვენში ხშირად ივიწყებენ ამ გვარს ცხადს ჭეშმარიტებას, ან, უკეთა ვსთქვათ, იგი შეგნებული და შეთვისებული არა აქვსთ. ამას ერთმანეთის გაუგებრობა მოსდევს, და აი სად არის იმისი მიზეზი, რომ ეოდენს უსიამოვნებას შევსწრებივართ ხოლმე.

ა. ს—ი

---

## ახალი ამბავი

*** როგორც ვიცით, ჩვენა გვქონია ძველის-ძველად ნათარგმნი დაბადება. ეს დაბადება ეხლა დაკარგულად ითვლება, ხოლო იმისი პირი-კი, მეათე საუკუნეში გადაღებული, ინახება ათონის მონასტერში. ამ პირიდგან პირის გადასაღებად ეს თარგმანი ამ საუკუნის ნახევარს მოიტანა ქალაქს პლატონ იოსელიანმა და გადაწერილ იქმნა სამი ცალი. ეხლა ნამდვილად შევიტყეთ, რომ დ. ზ. ბაქრაძეს ამ ზაფხულს მცხეთის სობოროს წიგნთ-საცავის დათვალიერების დროს უპოვნია მე-15—16 საუკ. გადმოღებული პირი იმავე ათონის დაბადების პირიდგან.

*** ჩვენი მეწვრილმანეები ძალიან ხელოსნები არიან, რას არ გააკეთებენ, რას არ მოიგონებენ. კარაქს აზელენ ხოლმე ქონით, გადაადნობენ და ერბოდ ჰყიდიან; ფქვილში მიწას ურევენ, მძიმე მოვიდესო; რძეში წყალსასხამენ, იმატოსო და კიდევ, ვინ იცის, რას არ შესდლებავენ და შეჰხანხლავენ ხოლმე. ერთის სიტყვით, მეწვრილმანის ხელიდგან არა გამოვა-რა ისეთი, რომ თაენკარი იყოს და არა ყალბი, თუ-კი მოუხერხდება რამე საქონელს სიყალბისათვის. გუშინ-წინ მეორე მომრიგებელ-მოსამართლემ კიდევ ერთი ამისთანა საქმე გაარჩია. ვილაც კაპიტანს მეწვრილმანე ნუბაროვისაგან ათი გირვანქა ფხვნილი შაქარი ეყიდნა, მარილგარეული აღმოჩენილიყო და უჩივლია. სასამართლოში აღმოჩნდა, რომ ნუბაროვს ეს საქონელი მეწვრილმანე სტეფანოვისაგან ეყიდნა და სტეფანოვს კიდევ მეწვრილმანევე გურგენოვისაგან. მოდი და აქ გაიგე, ვინ ჩაიდინა ეს სიყალბე. სასამართლომ სტეფანოვს მიუსაჯა უკანვე დაებრუნებინა საქონელში აღებული ფული, ხოლო ფხვნილი შაქარი-კი გადაეყარათ.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთს ახლად კურს შესრულებულს ქალების საეპარქიო სასწავლებელში, ოლგა ბათიშვილისას, განზრახვა აქვს პატარა ქალებისათვის კერძო დასაწყისი სკოლა გამართოს დ. ცხინვალში და ეს ამბავი მეტად სასიამოვნოა, რადგანაც ცხინვალში სრულებით არ არის ქალების სასწავლებელი, გარდა სომხების სამრევლო სასწავლებლისა, სადაც მარტო სომხის ქალებს ღებულობენ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ო. ბათიშვილის განზრახვას ცხინვალის ქართველი საზოგადოება სასიხარულოდ მიეგებება და ხელს გაუმართავს ახალს სკოლას. ამ ქალს აგრეთვე აზრად აქვს ყმაწვილები სხვა-და-სხვა სასწავლებელში შესასვლელად ამზადოს და ფასიც დიდი არ დაუნიშნავს, სახელდობრ თთვეში მანეთ ნახევარი. ღარიბებს ამაზე ნაკლებსაც გამოართმევს. ო. ბათიშვილი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრია.

---

# ფელეტონი

## უცხოთა შორის

ცხოვრება და კანონი. — „სახელოვანი სიკვდილი“ და „ნაძრახი სიცოცხლე“. — ხმალში გასვლა. — დავითი და გოლიათი. — ბერძნები და რომაელების გმირნი. — ძიძგილა მამალი. — მარკიზი ლიგრანი. — ლორდი ბაირონი და იმისი მეზობელი. — თავაზიანი და ზდილობიანი სიტყვა-პასუხი. — ქალებიც უკან არ ჩამორჩობილან ძიძგილაობაში. — მარკიზისა და გრაფის მეუღლეები. — ადამიანური და უწყინარი ხმალში გასვლა. — გაგარეულებული ესკიმოსი და გაშინაურებული ევროპიელი!

ცხოვრება და კანონი იშვიათად, ძლიერ იშვიათად თავსდებიან ერთმანეთში. ვერ არის ერთი მეორესთან შეფარდებული, თუ ერთი მეორეს უსწრებს, — ჩვენ ამის გამოკვლევაში არ შევალთ, — შორს წაგვიყვანდა ამისი გამოძიება. ჩვენ მხოლოდ იმისი თქმა გვინდა, რომ ცხოვრება და კანონი თითქოს განგებ გაურბიან, არ ეთანხმებიან ერთმანეთსაო. ამის დასამტკიცებლად შორს არ მოგვინდება სიარული. ავიღოთ, მაგალითად, თუ გინდ ესრედ წოდებული დუელი, ჩვენი ძველებური ხმალში გასვლა.

არ არის თითქმის ისეთი განათლებული სახელმწიფო, რომ სასტიკად არა სდევნიდეს დუელსა, ადამიანისაგან ადამიანის სიცოცხლის მოსპობას. მართლა და სიცოცხლე, ეს ერთად-ერთი და უძვირფასესი საუნჯე ადამიანისა, ხელ-მეორედ ხომ აღარ მოიპოვება, — მაშ ვის უნდა ჰქონდეს ნება ამის წართმევისა, მოტაცებისა?

ასე ჰფიქრობდნენ ისინიც, ვინც კანონებს ადგენდნენ, რჯულსა სწერდნენ. და არა მარტო რჯულის მდებელნი, ბევრი გამოჩენილი მეცნიერი, ფილოსოფოსიც ამასა ჰქადაგებდა.

ცხოვრება? ეს სულ სხვას გვეუბნება: საკმარისია ადამიანს ან მოუფიქრებლად სიტყვა წამოსცდეს, ან უადგილოდ გაეცინოს, ან ერთი მეორის აზრს არ დაეთანხმოს, რომ უცბად აიქოჩრონ, მამლებივით ერთმანეთს წაეძიძგილავენ და ერთმანეთი სასიკვდილოდ არ დაზოგონ!

რადა? განა რა მოხდა ისეთი, რომ ადამიანი ადამიანს სასიკვდილოდ იმეტებს? ამბობენ, სახელის დასაცველადაო, — შეგინებული, შელახული ღირსება ადამიანისა, იმისი სახელი მხოლოდ სისხლით ჩამოირეცხებაო! შესაძლებელია:

სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსსა
სიკვდილი სახელოვანი!

ხოლო რას უნდა ვუწოდოთ „სიცოცხლე ნაძრახი“, და რაში იხატება ადამიანის „სახელოვანება“, იმისი ღირსება? საზოგადოებაში ერთმა მეორეს ფეხი დაადგა და ბოდიში არ მოიხადა, — ძიძგილა მამლებისათვის ესეც საკმაოა, რომ ხმალს ხელი სტაცონ და „სიცოცხლესა ნაძრახსა“ ამჯობინონ „სიკვდილი სახელოვანი“. სასაცილოა!

მართალს ამბობს ფილოსოფოსი შოპენჰაუერი, როდესაც ასეთს „სახელოვანს სიკვდილს“ ბარბაროსობას და ადამიანის განადირებას უწოდებს.

„არც ბერძნებს, არც რომაელებს და არც სხვა ძველის თუ ახალის დროის ნამდვილ განათლებულს ერს არ უწამებიათ და არცა სწამთ ასეთი „სიკვდილი სახელოვანი“, — ამბობს იგივე შოპენჰაუერი: — „ესენი ადამიანს სწორედ ისე აფასებდნენ და აფასებენ, როგორც იგი თავს იჩენს საქმეში, ცხოვრებაში; საქმე, მოქმედება, — მხოლოდ ეს არის ერთად-ერთი საზომავი, რითაც ადამიანის ღირსება, სახელი გამოიცდება. ის, რასაც მჭევრ-ტლიანი ენა იტყვის ადამიანზე, მხოლოდ ენის პატრონის სახელსვე შეჰლახავს და შეჰბღალავს და არა სხვასას“.

ასე ჰფიქრობდნენ ძველის დროის განათლებულნი ერნი და ასე ჰფიქრობენ ბევრნი ეხლაც.

**

მართლა-და ხმალში გასვლა, დუელი ახალი ამბავი ხომ არ არის! ძველ დროშიაც იყო. ბრძოლა დავითისა გოლიათთან, რომელსაც დაბადება მოგვითხრობს, — მაშ რა არის, თუ არ ხმალში გასვლა, დუელი? მხოლოდ განსხვავება ის არის, რომ ძველ დროს ხმალში გასვლას აზრი ჰქონდა, სიკვდილი მართლა „სახელოვანი“ იყო, დღეს-კი დუელი უაზროა და სიკვდილი ხომ „საძრახისია“ და არა „სახელოვანი“.

დავითი საქვეყნოდ გამოდის, რომ გოლიათს შეებრძოლოს, ან მოკლას, ან შეაკვდეს, — რადა? თავისს ღირსებას, თავისს შეგინებულს სახელს იცავდა?

არა! დავითი მთელს ერსა სწირავდა სიცოცხლეს, — გოლიათი მთელს ერსა ჰგმობდა, შეურაცხჰყოფდა, და არა დავითს. დავითის გამარჯვება — დამარცხება იყო დამჩაგვრელის ერისა, დავითის თავ-განწირულება სამშობლოს სიყვარულით იყო გამოწვეული. დავითმა ხმალი აიღო ხელში მამულის დასახსნელად და არა იმიტომ, რომ თავ-მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად სისხლი დაეღვარა. ესეთი თავის გამომეტება, სიცოცხლის განწირვა ეხლანდელი უაზრო, უსაგნო სიკვდილი-კი არ არის, ეს არის ნამდვილი „სიკვდილი სახელოვანი“, ღვაწლი, სამსახური მამულის, ქვეყნის წინაშე.

ასეთივე აზრი და მნიშვნელობა აქვს, მაგალითად, აიაქსისა და ჰექტორის

და ასწავლის აგრეთვე ხელ-საქმესაც.

*** წელს მთის ოსებს ჯაყის ხეობაზე დიდი მოსავალი მიუვიდათ. ასეთი უხვი მოსავალი ქერისა და დიკასი ამ ათი-ხუთმეტის წლის განმავლობაში არა ჰქონიათ. ეხლა მკა კიდეც დაუწყიათ და ძალიან ეშურებიან, რომ თოვლმა არ მოასწროთ; ნახევარზე მეტი კიდეც მოუმკიათ. გალეწვაზე იმდენს არ იდარდებენ, თუ როგორმე მკა გაათავეს. გარდა ამისა ყველი და ერბოც ძალიან უხვად შემოსვლიათ, რადგანაც საბალახო მშვენიერი იყო. ცხინვალის ვაჭრები ლიტრაში მანეთ ნახევარზე მეტს აძლევენ ყველში; მაგრამ სასწორზე თუ მივარდა საქმე, მაშინ ორ აბაზადაც დაისვამენ ხოლმე ლიტრას, ეს ამათ ოსტატობაზე ჰკიდია.

*** შარშან ქ. ნუხაში ბ-ნ დ. ზ. ბაქრაძეს ერთს იქაურს ოჯახში უპოვნია სურათი თამარ დედოფლისა და თან წამოუღია. ეს სურათი ძველ დროს გადმოღებულია თამარ მეფის სურათიდგან, რომელიც ვარძიის მონასტერშია დაცული. ამ სურათზე დედოფალი ფეხზე სდგას და ხელში უჭერია უგუმბათო ეკკლესიის გეგმა. სამეფო სამოსელი (კაბა-ქლამიდი) მკლავებიანად და ტანიან-კალთებიანად დაჭრელებულია და რგოლებ-ჩაქსოვილი. მოხდენილს წელზედ არტყია ფართო სარტყელი, რომლის წვერები ძირსაა დაშვებული. ყელზედ გაკეთებული აქვს ძვირფასი მანიაკი, ყურებზედ საყურეები. თმები კავებადა აქვს შეწნული და ნაწნავებში ჩაწნულია ძვირფასი ქვები. თავზედ ჰხურავს სამეფო ჯიღა. ფეხთ აცვია ყვითელი წუღები. თვალები და ცხვირი აქვს ზომიერი და პირი-სახე-კი მორგვალო და თეთრი.

*** **ქუთაისი:** საზოგადოდ ქუთაისი ვერ დაიტრაბახებს ქუჩების სიწმინდეს. ამ მხრით განსაკუთრებით მივიწყებული და მიგდებულია ზოგიერთი შუაგულს ქალაქზე მოშორებული, მეტადრე ტფილისის ძველი ქუჩა. ღმერთმა გაშოროსთ ამ ქუჩაზე სიარული; იგი უფრო დამპალს ჭაობს წააგავს, სადაც ბაყაყები დაბუდებულან; ფარნები ხომ სიზმარშიაც არავის მოსჩვენებია. მუხლამდე ტალახს ზელენ ამ ქუჩის მცხოვრებნი, რომელთა ტანჯვა ზევით ცას ესმის და ქვემოდ მიწას, მაგრამ ქალაქის გამგეობას-კი ვერ შეუტყვია. მაგრამ ამით არა თავდება ეს ტანჯვა-წვალება ამ უბნის მცხოვრებთა; აქვე არის სასაფლაოები, გერმანელებისა, სომხებისა, ფრანგებისა, თათრებისა და ურიებისა. იქვე ჰყრიან მკვდარს პირუტყვს, ცხენს, ღორს, ძაღლს, კატას და სხვათა; ამიტომაც ამ უბანში მოწამლული, მოშხამული სუნი ტრიალებს და ავრცელებს სხვადა-სხვა ავადმყოფობას. რას ნიშნავს ქუთაისის თვით-მართველობის უზრუნველობა, რად არ აქცევს ყურადღებას იმ უბნელების ტანჯვა-წვალებას? ის მაინც გაიხსენოს, რომ ეს ადგილი თავისის მდებარეობით საუკეთესო ადგილია ქუთაისში; სასაფლაოები რომ გააუქმონ და ქუჩა შეასწორონ, ქუჩაც უფრო დასახლდება მიწის იაფობის გამო და ქალაქსაც შემოსავალი მოემატება. ამ ხუთის წლის წინად ლაპარაკი იყო სასაფლაოების გადატანის შესახებ, ადგილიც აირჩიეს „სალრიაში“, მაგრამ ეს განზრახვა ჩაილურის წყალმა ჩაიტარა.

*** **გუდაური** (დუშეთის მაზრა): გუდაურელები ლოცულობენ ყოველ მარიამობის თთვეში, 30—40 ვერსის სიშორეზედ, რამდენსამე მთას იქით, ხევსურეთში, ხატს, რომელსაც უწოდებენ ახოობას; აქვე სამღთოს შესაწირავად ყოველ წელს შეიყრება ხოლმე საკმაოდ ბევრი ხალხი, როგორადაც გუდამაყრელნი, აგრეთვე სხვა მთიელები, და დაიკლება ყოველ წელს 300-მდე ცხვარი და რამდენიმე ხარი. აგრეთვე ეკკლესიის ფულად შემოსავალი არის ხოლმე 150—200 მანეთამდე.

ადგილობრივი მღ. ი. ყ—ს მოხსენების გამო ხალხის რელიგიურ რწმენათა შესახებ და იმისის დეკანოზების საქციელზე, მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ ამ წლიდგან ხალხი ახოში აღარ უნდა გაეშვათ და საჩალის ქალის მოედანზედ უნდა ეღლესასწაულებინათ, სადაც იმავე ხატის ნიში არის აშენებული.

მთავრობის განკარგულებით ფასანაურის „ურიადნიკი“ ცილოევი წავიდა იმ ნიშთან, სადაც ხალხი უნდა დაბანაკებულიყო და მსხვერპლი შეეწირა; ამასთანავე დაესწრნენ ადგილობრივი მღ. ი. ყ—ლი, მღ. გ. ს—ძე, მღ. იაკობ კაიშაუროვი და ბლაღ. მღ. გ—ძე. რასაკვირველია, ახოში მიმავალი ხალხი თანდათან საჩალის ხევის ნიშთან შეგროვდა და მღვდლებმა და პოლიციის მოხელეებმა ხალხს რჩევა მისცეს, რომ, მთავრობის განკარგულების ძალით, ახოობის ხატის დღეობა გადაიხადათ ამ ნიშთან; ამასთანავე მღ. კაიშაუროვმა წარმოსთქვა ხალხის წინაშე სიტყვა და აუხსნა მდაბიურად, რა მნიშვნელობა აქვს ხატებს და ურჩია, რომ ხატობა მოესპოთ. ხალხმა ამას აი რა უპასუხა: ჩვენ ჩვენს ჩვეულებას ვერ გადავუდგებითო, — და ერთბამად ხალხმა ძალად წასვლა მოინდომა ახოსკენ; ხალხი მეტად აღელვებული იყო და მხოლოდ მღ. კ—მა აიღო იმათი ჯვარი (ბოურაყი) ხელში, მივიდა ამ აღელვებულ ხალხთან, ჩააბარა დეკანოზს შიო წ—ს და უთხრა: მეც თქვენის მთის შვილი ვარ და გთხოვთ წესი და რიგი დაიცვათო. ხალხმა ამ მ. კაიშაუროვის თხოვნა შეისმინა და ამ სახით მ. კაიშაუროვმა აღელვებული ხალხი დაამშვიდა. ხალხი წავიდა ისევ თავიანთ ახოს სალოცავად; მღვდლები და პოლიციელნი უკანვე დაბრუნდნენ და რამდენიმე კაცი ამ საქმის გამო სამართალში მისცეს.

ამ ხატობიდგან დაბრუნებული ხალხი, 22-ს აგვისტოს, ჩამოვიდა სოფ. ფასანაურს ახლო, სადაც დაისვენეს და განაგრძეს მუსიკაზედ თამაშობა. ამ თამაშობის დროს მოუხდათ ერთი საშინელი ჩხუბი სოფ. ხანღას მცხოვრებთ და სოფ. გოგნაურის მცხოვრებთ—ევშაგურებსა და კობაიძეებსა; მოჩხუბართა რიცხვი ასზე მეტი იყო და ჩხუბმა გასტანა მთელი ოთხი საათი. მოჩხუბრებზედ ჯოხი და რიყის ქვა ისე გადადიოდა, როგორც ბზე; პოლიციამ მალე იხმარა ღონისძიება, მაგრამ ხალხი ვერ დაამშვიდა. მხოლოდ ფასანაურის ეკკლესიის მღ. მ. ლ—ემა და რამდენიმე ვაჟარმა მოსპეს ჩხუბი. თხუთმეტიოდე კაცს თავი დაშავებული აქვს და ერთიც ხანჯლით არის დაჭრილი.

◆◆

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ბათუმი**, 22 სექტემბერი. 17 სექტემბრის კრებაზედ ჩვენმა ხმოსნებმა უკვე აირჩიეს და მოაწყეს მართველობა. ამ დღეს იქირავეს კორრადინისაგან სახლი 1,500 მანეთად წელიწადში; ამოირჩიეს სამი წევრი გამგეობისა და მდივანიც. თითოეულს წევრს გამგეობისას დაენიშნა 2,000 მანეთი წლიური ჯამაგირი და მდივანს-კი, რომელიც ერთის წლით აირჩიეს, 1,800 მანეთი დაუნიშნეს წელიწადში.

გამგეობის წევრებად, როგორც მოგეხსენებათ, აირჩიეს დ. ბიკოვი, ი. შადინოვი და ა. კაიანდერი, მდივნად აირჩიეს ი. მესხი.

კრებამ მიანდო გამგეობას 11,420 მანეთი, რათა იმან მოიწვიოს შტატის მიხედვით დანარჩენნი მოხელენი; ამ რიგად ბათუმს მმართველობის შენახვა დაუჯდება მხოლოდ ოცი ათასი მანეთი. ეს ხარჯი, რასაკვირველია, ქალაქს არ გაუჭირდება, რადგანაც შემოსავალი ას ორმოც-დაათი ათას მანეთამდე აქვს.

ამდენს შემოსავალზე დაიმედებულმა ქალაქმა, რასაკვირველია, ხელი უნდა მოუმართოს ყოველ კეთილს საქმეს. ჩვენმა ხმოსნებმა უკვე მოგვცეს ამისი საბუთი. როცა აქაურის სამოქალაქო სკოლის ინსპექტორმა კრებას მოახსენა, რომ მმართებლობას განზრახვა აქვს ბათუმში სატეხნიკო სკოლა გამართოს, თუ-კი ქალაქი შემწეობას არ დაიზარებსო, კრებამ ერთ-ხმად გადასწყვიტა 4,000 მანეთი დაუნიშნოს შესაწევრად ყოველ წლივ ამ სკოლას. ამ რიგად გაისად ჩვენ გვექნება ბათუმში სატეხნიკო სასწავლებელი, რომლისათვისაც ხაზინა იძლევა 16 ათასს მანეთს და ქალაქი 4 ათასს.

იმავე კრებაზე გადაწყვეტილ იქმნა, რომ მმართებლობას თხოვნა მიართვან ქალაქის მიწების თაობაზე და აგრეთვე თხოვნით მიჰმართონ გზათა მინისტრს, რათა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბათუმის ნავთსადგურს: გააფართოვონ ნავთ-სადგურის ის ნაწილი, სადაც მოსული გემები შეჩერდებიან ხოლმე საქონლის ამოსალაგებლადა და მისაღებად. ამ თხოვნების დასამზადებლად უკვე შეუდგენიათ ორი კომისია. პარასკევს საბჭო დაამტკიცებს იმ ორის თხოვნის რედაქციას და სექტემბრის 25 მიართმევენ დანიშნულებისამებრ.

ჩვენი პატარა ბათუმი ისე მორთულია დღეს, რომ სწორედ კაცს გულს გაუხარებს იმისი ნახვა. ხალხი ყოველ მხრიდგან მოდის; აქაურ მკვიდრთაგან ჩამოსული დეპუტატები და წარმომადგენელნი თავიანთ მოკაზმულობით სწორედ რომ საუცხოვო სანახავნი არიან.

დათიკო

---

**გურია.** როგორც ყველგან, ისე გურიაშიაც გზები (გარდა რკინის გზისა) და ბოგირები გლეხ-კაცის შრომით გასლდსუთ გაკეთებული. ვინ მოსთვლის რამდენი სიმწარე და შეწუხება უნახავსთ გზის საკეთებლად გაწვეულს გლეხებს! რამდენს თოვლ-წვიმიანს და ყინვიანს ტაროსებში გდებულან უსახურად ტრიალს მინდორში! ვინ მოსთვლის იმასაც, რამდენჯერ გზის საკეთებლად გაწვეულ გლეხს „ნაზირატელის“ ოჯახშიაც უმსახურნია მთელის კვირაობით, უზიდავს წყალი, შეშა, ფქვილი და სხვანი „ნაზირატელის“ ოჯახისათვის.

მაგრამ ამ უკანასკნელ დრომდე, რაკი გზის კეთება მარტო გლეხების მკლავზედ იყო დამოკიდებული და არა იმათს ჯიბეზე, ისინი როგორც იყო უძლებდნენ ყველაფერს. ამ უკანასკნელ დროსკი, გლეხების სამწუხაროდ, სულ სხვანაირად გადატრიალდა საქმე: ერთმა ხერხიანმა კაცმა, რომელსაც გზის საქმეში ხელი ჰქონდა, მოიფიქრა: მოდი, გლეხებმა თავიანთი ბარ-ნიჩბები იქით წაიღონ და სამაგიეროდ გზების გასაკეთებლად თითო ფულები მოიტანონ; მერე, რაკი ფულები ბლომად იქნება, გზებს-კი არა, რა გინდა, რომ ვერ ვერ გავაკეთოთო. ამისი მოფიქრება და აღსრულება ერთი იყო (რადგანაც მომფიქრებელი ახირებული ვინმე არ გახლავსთ). „ტარშინებმა“ გამოუცხადეს გლეხებს—გზის საკეთებლად გაწვევა გვიპატიებია, მაგრამ სამაგიეროდ გზის გასაკეთებელ ფულებზედ ბევრი ჭინჭილ-მინჭილი არ იყოსო! რამდენიც გიბძანოთ, მოიტანეთ, სხვა ბძანება-კი დაადგათ გასაჭირის ოფლი ჩვენს გლეხებს. „ფულით გზების კეთება ჩვენ სად შეგვიძლიან, მამასახლისო?—ჩვეულებრივის თავის ფხანით უპასუხებს გლეხობა:—ჩვენი ფული ჩვენივე მკლავიაო“.

---

ბრძოლას ტროადის დანგრევის დროს, რომელსაც ჰომიროსი მოგვითხრობს. გვესმის აგრეთვე თავ-განწირულება სახელოვან რომაელთა: ჰორაციოსი, კურიაციოსი, რომელთაც მამულის გულისთვის სიცოცხლეს სიკვდილი არჩიეს. ხოლო ვერ გვესმის და ვერ გაგვიგია ასეთი უგვანო უარყოფა სიცოცხლისა, როგორსაც ვხედავთ საშუალო საუკუნოებში და დღევანდელ დროს. კაცი ხმალს, ხანჯალს, დამბაჩას იღებს ხელში, თავს იმეტებს, სხვის სიცოცხლესაც განსაცდელში აგდებს,—ჰკითხეთ, რადა? რის გულისთვის? პასუხს ვერ მოგცემთ.

რა პასუხი უნდა მოგცეთ, როდესაც საქმე იქამდის მიდის, რომ ერთი მეორეს ითხოვს ხმალში, არამც თუ უაზროდ, არამედ უმიზეზოდ, უდანაშაულოდ.

მაგალითად, ამ საუკუნის დამდეგს საფრანგეთში სცხოვრებდა ქვეყნის მეტ ბარგად ერთი ვილაც მარკიზი ლიგრანი, რომელიც გამვლელ-გამომვლელს ეძიძგილავებოდა და ხმალში ითხოვდა. მიზეზი ხომ ჰქონდა? რასაკვირველია, აი თუნდ, მაგალითად, ასეთი შესაწყნარებელი:

ახლად ჯვარ-დაწერილი ცოლ-ქმარი თავისთვის ქუჩაში მიდიოდნენ. უცბად წინ გადუდგება მარკიზი ლიგრანი და ეტყვის: «სანაძლეო მაქვს დადებული, რომ შენს ცოლს ვაკოცო და შენ სილა გაგარტყაო». სთქვა და აასრულა.

რა ექმნა შეურაცხყოფილს ქმარს? ხმალში გამოითხოვა და თავი შეაკლა.

იმავ მარკიზმა ერთს ახალგაზდა აფიცერს ქუჩაში, სადაც დიდ-ძალი ხალხი დადიოდა, ჯოხი გადაუღობა წინ და დაუყვირა: „ჰოპ, გადახტი, თორემ დაგარტყამო!“ ეს აფიცერიც მეორე დღესვე დუელში მოკვდა.

მარკიზი, რასაკვირველია, დარწმუნებული იყო, როდესაც ასე ხალხს ჰხოცავდა, რომ ჩემს სახელს ღირსეულად ვიცავო და „სიცოცხლეს ნაძრახსა“ ვერავინ შემწამებსო!...

**

აი კიდევ ლორდი ბაირონი, პაპა ინგლისის გამოჩენილ პოეტისა, კაცსა ჰკლავს სულ უბრალო მიზეზის გამო.

ბაირონი მდიდარი კაცი იყო და თავისს მამულში სცხოვრებდა. ერთს დღეს ეწვია მეზობელი, აგრეთვე მამულის პატრონი, კაი მეგობარი ბაირონისა. სადილზე ლაპარაკი მოუვიდათ იმის შესახებ, თუ ვის მამულში უფრო კარგი სანადირო ადგილებიაო. ორივენი თავისას აქებდნენ. ბოლოს სტუმარმა უთხრა: ჩემი მამული რომ შენს მამულს ზედ არ ეკრას, შენსაში ერთს კურდღელსაც ვერ იპოვიდა მონადირეო. ბაირონმა ეს ძლიერ იწყინა, თავისს შეურაცხყოფად მიიღო, და თავისის შეგინებულ ღირსების აღსადგენად სტუმარი ხმალში გამოითხოვა. შევიდნენ მეორე ოთახში, აიღეს ხმლები და შეებნენ. იქამდე იბრძოლეს, სანამ სტუმარი მოკლული არ დაეცა.

ბაირონი? ბაირონი უკან დაბრუნდა სადილის გასათავებლად და მხოლოდ მსახურებს ბძანება მისცა, რომ მკვდარისთვის მოევლოთ.

დრომ იცის! დრო ყოფილა, როდესაც ხმალში გასვლა გადამდებ სენივით, ჭირივით მოსდებია მთელს ევროპას. მაშინ არამც თუ კერძო კაცებს შორის უთანხმოება, უსიამოვნება, ხშირად პოლიტიკის საქმეებშიაც ხმალი ჩარეულა. მეფეებიც-კი ხმალ და ხმალ გამოსულან ერთმანეთის წინაამდეგ.

**

აი, მაგალითად, რა წერილს უგზავნის შვეციის მეფე დანიის მეფეს, რომელსაც ხმალში ითხოვს,—„შენ ისე არ მოიქეცი, როგორც ქრისტიანსა და პატიოსანს მეფეს შეჰფერის. მშვიდობიანობა დაარღვიე, აუარებელი სისხლი დაჰღვარე და ღალატით მიიჩემე ქალაქი კალმარი. ღმერთი დაგსჯის. რადგანაც შენზე სხვა ღონე არა სჭრის, ამიტომ ხმალში გითხოვ. შეგიძლიან თან ორი კეთილშობილი წამოიყვანო. მე უფაროდ და უმუზარადოდ დაგიხვდები, მხოლოდ ხმალ-ამოწვდილი კი ვიქმნები. თუ უარს იტყვი და დანიშნულს ალაგას არ მოხვალ, მაშინ არც კაცი იქმნები და არც მეფე“.

დანიის მეფემ ამაზედ ასეთი პასუხი მისცა: „შენი სულელური და თავგასული წერილი მივიღე. წერილიდამ ვსცანი, რომ ჭკუაზედ ცოტად მწყრალად უნდა ბძანდებოდე. ამბობ, ვითომ ჩვენ დაგვერღვიოს მშვიდობიანობა. სტყუი უჯანო ძაღლივით, რომელიც ულონობის გამო იყეფება. ოდესმე პასუხს აგებ ღმერთს და დაუსჯელად არ ჩაგივლის, რომ ომი დაიწყე, სისხლი დაჰღვარე და ქვეშევრდომებსაც უდიერად ექცევი. სტყუი აგრეთვე, ვითომც კალმარი ღალატით აგვეღოს. ეტყობა გრცხვენიან, რომ ცხვირ-წინიდამ აგაცალეთ, და იმიტომ მაგას-ღა იგონებ. მითვალი, ხმალში გამოდიო! რაღა მაგისი გცხელა, შენ ეხლა უფრო ის შეგშვენის, რომ თბილად ლოგინში იწვე და ექიმი ეკადოს, ეგება ჭკუა მოგიგროვოს. გრცხვენოდეს, შე ბებერო ჩერჩეტო, რომ პატიოსანს კაცს ჩირქსა სცხებ. მაგრამ შენ ხომ გამოყრუებულ დედაკაცებისაგან ხარ გაბრიყვებული, იმათს ავს ენას აჰყოლიხარ“.

რასაკვირველია, ეს ზრდილობიანი და თავაზიანი სიტყვა-პასუხი იკმარეს

«ტარშინებმა» ამ პასუხს ყურიც არ ათხოვეს; გაუსიეს სოფლებს თავიანთი „პომორშნიკები“ და ყოველ ორს თვეში თითო ჯერ მაინც ახდევინებენ გლეხებს ოჯახეულობაზედ ორ-სამს მანათსა და მეტსაც.

ასე და ამ გვარად დღეს გურიაში გზების გაკეთება გლეხებისთვის წინანდელზე ოცჯერ უფრო ძნელია, მაგრამ სამაგიეროდ გზის „ნაზირატელსა“ და «პოდრაჩიკს»-კი გაუადვილდათ საქმე. აი ეს არის ოსტატობა, აი!

—

ვის არ ახსოვს, რა შიში და მოძრაობა დაჰბადა შარშან გურიაში მიწის ძვრამ! პარასკევი, შაბათი, მკვდარი, ცოცხალი — სულ ყველა გაზრუნდა იმ მიწის ძვრის სახელობაზედ. ბოლოს ძლივძლიობით დაიწყნარეს გურულებმა გული და მიუბრუნდნენ თავიანთს საქმეს. მაგრამ დახე, იმოდენა ქროთამმა და საჩუქრებმა სულ ამაოდ ჩაიარა და ამ მდგომარე სექტემბრის 14-ს განთიადისას ამ დაუნდობელმა დედამიწამ ქვე არ შეანძრია გურიაში თავისი ზურგი! წინანდებურადვე შიშმა შეიპყრო ჩვენი მკვირცხლი გურულები. მართალია, მიწის ძვრა ისე ძლიერი არა ყოფილა, როგორიც წარსულს წელს, მაგრამ შიშს დიდი თვალები აქვს.

— მოგვკითხა, მამავ, და მაინც მოგვკითხა! პაწაი რომ კიდევ გაქანებულიყო, კვერცხსავით გასკდებოდა, — ამბობენ ბევრნი გურიაში ამ მიწის ძვრის შესახებ.

სამწუხარო ის არის, რომ ვისაც ძველი, ფეხებ-შერყეული საწოლი აქვსთ, ისინი 14 სექტემბრიდგან მოყოლებული ყოველ ღამე ჰგრძნობენ მიწის ძვრას, რადგანაც თავიანთის საწოლის რყევა მიწის ძვრა ჰგონიათ, და ხალხს აშინებენ:

— ამ ხელა კაცი მოვიხარე და ამდენი მიწის ძვრაც აღარ მინახავს! ფარსაგი აღარ მოელის ქვეყანასაო, ამბობს ხან ერთი და ხან მეორე.

თუ რა ქროთამსა და საჩუქარს გაიმეტებენ ამ ხელად ამ მიწის ძვრის სახელობაზედ ჩვენი გულ-უხვი გურულები, ეს-კი არ ვიცი, თუმცაღა-კი იმედია, დაუსაჩუქრებელს არც ეხლა დასტოვებენ მეუფეს.

ე—ი

◆◆

# უცხოეთი

—

**გერმანია.** შენაუში, სადაც ბისმარკის მამულია, მუშებს გაუთავებიათ მკა და ლეწვა ქირნახულისა და ჯვარიც შეუკრავთ, როგორც ეტყობა. ამისათვის ბისმარკს სადილი გაუმართავს თავისის მუშებისათვის. სადილზე აუღია ჭიქა და უთქვამს: „სასიამოვნოა, რომ თქვენ ევრე მხიარულებსა გხედავთ. გულითა და სულით გმადლობთ, რომ ასე ერთგულად იმუშავეთ. საჭირო იყო, რომ ჩქარა გაგვეთავებინა მკა და ზიდვა, მით უმეტეს, რომ ვერაფერი პირი უჩანდა მოსავალს. მაგრამ მოსავალი უფრო უკეთესი გამოდგა, ვიდრე მოსალოდნელი იყო ხანგრძლივს ზამთარსა და წვიმიანს ზაფხულს შემდეგ. წრევანდელმა ზამთარმა ბევრი უბედურება მოგვიტანა ყველას. ჯერ დავასაფლავეთ ჩვენი მოხუცებული იმპერატორი და მერე, რამდენისამე თთვის შემდეგ კიდევ, იმისი შვილიც დავმარხეთ, ჩვენი იმპერატორი ფრიდრიხიც გამოგვეცალა. ბოლოს ღმერთმა შეგვიბრალა და ღრუბლებიდამ მზემ გამოგვიბნათა. გერმანელებს შეგვიძლიან ახლა თავ-მოწონებით ვუცქიროთ ჩვენს იმპერატორს ვილჰელმ II. ახალი იმპერატორი თავით ფეხამდე ჯარის-კაცია, სალდათია და ეჭვი არ არის, თუ გერმანიას მტერი შემოესია, ვაჟკაცურად დაუხვდება. იმპერატორს უყვარს თავისნი ქვეშევრდომნი და ამიტომ ყოველს ღონისძიებას იხმარს, აალიოს სისხლის ღვრა თავისს ქვეყანას. ვინც თქვენგანი იყო ჩემთან ერთად საფრანგეთში ამ თვრამეტის წლის წინად, იმას კარგად ეცოდინება, რა ჭირია მკა და ლეწვა მაშინ, როცა სამშობლო ქვეყანაში მტერი ბატონობს, მხვნელმთესველს აღარა რჩება-რა მაშინ. მოვიგონოთ მაშ დღეს ჩვენი იმპერატორი და დავძახოთ იმისს სადღეგრძელოდ „Hoch“! „გაუმარჯოს ჩვენს იმპერატორს!“ ბისმარკმა უსვენებლივ გადაჰკრა თავისი ჭიქა და უთხრა მუშებს: „ახლა თქვენც გადაჰკარით თქვენი ჭიქები“.

— დღეს ხომ ლაპარაკობენ ევროპის გაზეთები და, ეტყობა, ჯერ კიდევ დიდხანს „ილაპარაკებენ“ იმპერატორის ფრიდრიხის „დღიურის“ გამო. დღევანდელს იმპერატორს რომ წაუკითხავს ეს დღიური, გაფითრებულს წამოუძახნია: „ეს ხომ ღალატია!“ ყველა შეშფოთებულია და გაშტერებული იმ სკანდალის გამო, რომელიც „დღიურის“ დაბეჭდვამ მოახდინა. იმპერატორმა და ბისმარკმა გამოაცხადეს, რომ ეგ „დღიური“ ტყუილია, განგებ მოხერხებულიო. გამომძიებლები დატრიალდნენ და სასამართლო თხოულობს დაასახელოს იმ გაზეთის რედაქტორმა, სადაც „დღიური“ იყო დაბეჭდილი, ვინც გადასცა რედაქციაში ხელ-ნაწერი. თუ არ დაასახელა, კანონი ნებას აძლევს მოსამართლეს დაატუსაღოს მოწამე სასჯელად (?) და სასამართლოს შეუძლიან რედაქტორს ექვსის თთვით ციხე გადაუწყვიტოს. მთავრობის კაცნი ამბობენ, რომ ეგ „დღიური“ ფრიდრიხკრონის ციხე-დარბაზიდამ არის გამოსული და ბისმარკის მოწინააღმდეგე დასის საქმეაო. გუშინ იმპერატორს უნახავს თავისი დედა, ქვრივი ფრიდრიხისა. ცხადია, რაზედაც ექმნებოდათ ლაპარაკი დედასა და შვილს. სამწუხარო სცენა მომხდარა. იმპერატრიცას, ვილჰელმის დედას, ბევრი უტირნია და უარი უთქვამს, რომ მე მაგ საქმეში არავითარი მონაწილეობა არა მაქვსო. იმპერატორი გაგულისებული თურმე ელაპარაკებოდა და განდევნაცკი ახსენა, თუ ვინიცობაა მაგ ნაირი სკანდალი კიდევ განმეორდაო.

**ინგლისი.** აგერ ოთხი თთვეა, ინგლისის ჯარები ინდოეთში ებრძვიან ტიბეთელებს. ინგლისის ჯარების უფროსია პოლკოვნიკი გრაამი. ამ ჟამად ბრძოლა შეწყვეტილა და პოლკოვნიკი უკან დაბრუნებულა ტიბეთელების ქვეყნიდამ. მაგრამ ეს შეჩერება ბრძოლისა, როგორც ამბობენ, დროებითია და, უნდა მოველოდეთ, კვლავ განახლდებაო. მარტო ტიბეთელები არ ურევიან ამ საქმეში. ტიბეთელებს მხარს აძლევენ ჩინელებიცა. ტონკინშიაც ასე იყო. ფრანგები ებრძოდნენ «შავს დროშებს». ეს «შავი დროშები» ჩინელები იყვნენ. ასევე მოუვიდათ ინგლისელებს ბირმაში. ევროპელები აქეთ-იქიდამ შემოერტყნენ ჩინელებს და მოსვენებას არ აძლევენ. ჩინელები ამის გამო ძალიან შეფიქრიანებულები არიან: ჩინელებს არ ეპიტნავებათ უცხო სტუმრები და დიდის მოწიწებით იკავენ თავიანთს განსაკუთრებულს ცხოვრებას ევროპიელთ შესევისაგან. ამიტომ არის მოსალოდნელი, რომ ჩინელები ასე მალე არ მოასვენებენ ინგლისელებს ტიბეთში. ჩინელებს სძულთ საერთოდ (?) სჭირთ ინგლისელების ჯავრი. ინგლისელების განკარგულებით აღარ უშვებენ ჩინელებს ავსტრალიაში. ამერიკაშიაც ერიდებიან ჩინელებს. ასე შევიწროებული ქვეყანა, ცხადია, გამოვა მოთმინებიდამ და ხელს გამოიღებს, როცა სახლშიაც უხტებიან და მიწებს მიწებზე ართმევენ ევროპიელნი. ან კი რა ჰქმნან ამათაც. უნდა იშოვონ ახალი ბაზრები სხვა ქვეყნებში თავიანთის საქონლის გასასაღებლად, ახალი ქვეყნები თავიანთის უმიწა-წყლო ხალხის გადასასახლებლად.

აი ამითი აიხსნება ევროპიელებისა და ჩინელების ბრძოლა აზიაში.

# წვრილი ამბები

—

სპაში გამართული იყო ჯიბრი ქალთა სილამაზისა. ამ ქალაქში იმდენმა ქალმა მოიყარა თურმე თავი გასაჯიბრებლად, რომ სილამაზის დამფასებლებად ამორჩეულნი ვეღარ ასწრობდნენ მშვენიერთა გარჩევას, განაწილებას, დას-დასად დაყოფას. მოჯიბრეთა რიცხვი სამასამდე იყო. იყვნენ ქალნიცა და ქალ-ბატონნიც გერმანიიდგან, საფრანგეთისა, ჰოლანდიისა, ავსტრო-ვენგრიისა, რუსეთისა, შვეციისა და ნორვეგიიდგან, ოსმალეთისა, ისპანიისა, ტუნისისა, ალჟირისა და ამერიკიდგან. ყველა წოდების ქალი მივიდა თურმე, უქმ ქალბატონიდგან დაწყებული კოპწია მოახლემდე. ამ მოსულთა ქალთა წერილებიდგანა სჩანს, რომ სხვა-და-სხვა მიზეზი აიძულებს ქალთა თავიანთი სილამაზე საქვეყნოსაჩვენებლად გაჰხადონ. ზოგიერთს ქმარი დაუკარგავს და ახალი პატრონი უნდა იშოვნოს; მეორენი თავისის შვილების აღზრდის შემწეობას ეძებენ; მესამენი ბედნიერებას ეძებენ და უნდათ შინაურის უსიამოვნებისაგან თავი გაირთონ. შეძლებულთაც-კი გაუგზავნიათ თავისი სურათები, რომ აი ასეთისა და ასეთის სახისანი და სილამაზისანი ვართო. გასაჯიბრებლად თავ-მოყრილებში 27 მე-4 №-რი მიუღიათ და ამიტომ მოჯიბრეთა სიაში არ ჩაუწერიათ. გასაჯიბრებლად დარჩენილად უცვნიათ სულ 80 ქალი. დაწუნებულნი მოუთავსებიათ «Hôtel de l'Europe»-ში. თითო ქალის მოვლა-შენახვა 6 მანეთი ჯდება. ამ ქალებს სასტიკად აძლევენ თვალ-ყურს, მხოლოდ პირბადე და ნიღაბ-ჩამოფარებული აქვსთ ნება ქუჩაში გამოვიდნენ. ამბობენ, იმედია, რომ ყველაზედ მეტად პირველი ჯილდოები შემდეგთ მიიღონ: მარგარიტა ბულონმა, პარიჟელმა, 18 წლისამ; ბეტტი სტუგარმა, ვენელმა, 19 წლისამ; ფატმამა, ტუნისელმა, 19 წლისამ; ბერტა გალლოსმა, ბორდოელმა, 20 წლისამ; გრაფინია ბაკჟინსკაიამ, პოზნანელმა, 28 წლისამ; ბარონის მეუღლემ დომბროვსკისამ, პილზნელმა, 23 წლისამ; მისს სტოკფორდმა, დუბლინელმა, 28 წლისამ; მარია შტუმჰვგელმა, ბერლინელმა, 33 წლისამ.

— „Petit Journal“-ს გამოუანგარიშნია, თუ როგორს ჯამაგირებს ურიგებს თავისს მოღვაწეებს საფრანგეთის რესპუბლიკა. მეორე იმპერიის მინისტრებს თითოს 40,000 მან. ეძლეოდათ, ეხლანდელი მინისტრები 24,000 მან. იღებენ; სენატორებს უწინ ჰქონდათ 12,000 მან., ეხლა—2,800 მ., სახელმწიფოს მეთაური წინად ჯამაგირს იღებდა 10.000,000 ეხლა—240,000 მან. დანარჩენების მხრივ რიცხვები არ შეცვლილა. ეპისკოპოსები (?), გენერლები, ადმირალები და გუბერნატორები ადრინდელსავე ჯამაგირს იღებენ. სენის პრეფექტი იღებს 20,000 მან., პარიჟისა—16,000 მან., დეპარტამენტის დირექტორები თითო (სულ 54 არიან) 6,000—8,800 მან., ვიცე-დირექტორები თითო—6,000—7,200 მ., 85 პრეფექტი იღებს თითო 7,200—14,000 მან., 23 წევრი საფინანსო უწყებისა თითო—6,000—12,000 მ., 32 წევრი სახელმწიფო საბჭოსა თითო—6,400—10,000 მ., 55 წევრი უმაღლესის სასამართლოსი თითო—7,200—12,000 მანათს.

— წიგნთ დამცველს სოვაჟს შექსპირის დაბადების ადგილას, ავონის სტრატფორდში, უპოვნია ერთი ეგზემპლიარი ძველის წიგნისა, რომელიც დაწერილია შექსპირის თანამედროვე ედუარდ პუდსეისაგან და დაუწერია წიგნაკი შემდეგის სათაურით „Shakspearean extract from Edward Pudsey's book. ამ წიგნიდგანა სჩანს, რომ დიდებულს დრამატურგს ერთი დრამა ჰქონია, სახელად „Irus“-ი, რომელიც დღეს დაკარგულია.

და ამოწვდენილი ხმლები ისევ უკან ქარქაშებში ჩააგეს.

**

ქალებიც თურმე უკან არ ჩამორჩებიან კაცებს ძიძგილაობაში. ჩვენ აქამდე გვეგონა, რომ ქალებს მხოლოდ ენით შეუძლიანთ გულის ტკენა, თურმე ნუ იტყვით ხმლითაც შესძლებიათ. სუსტისა და ნაზის ქმნილებისაგან არ მოველოდით ამას!

ესეც კია, ღვთის წინაშე, რომ კაცი თუ კაცს ითხოვს ხმალში, მიზეზად იმას არ მოიყვანს, რომ ჩემის სახელის ღირსებას შეეხო. ასეთს შეცოდებას კიდევ აპატიებენ ერთმანეთს და შერიგდებიან, მაგრამ თუ საქმე გულის წადილს შეეხება და ერთმანეთს შეეცილნენ, მაშინ ერთად ველარ მოთავსდებიან და მოსისხლე მტრებად გადიქცევიან. აი ერთი ამისთანა ამბავი ძველის დროიდგან.

ერთს ქალების პატივის-მცემელს და ამასთან გულ-მავიწყარს ახალგაზდა ვაჟს ორის ქალისათვის ერთს დროს დაენიშნა ადგილი, სადაც უნდა შეეყრილიყვნენ სანახავად. მეტოქენი პირისპირ შეჰხვდნენ. ერთი გახლდათ მარკიზ დენელის მეუღლე, მეორე გრაფის პოლინიაკისა გამოითხოვეს ერთურთი და დამბაჩებით ხელში პირდაპირ დაუდგნენ ერთმანეთს. პირველად მარკიზის მეუღლეს უნდა ესროლა. ესროლა და ააცდინა.

„თქვენ, ჩემო კარგო, როგორც გატყობთ, ხელი აგიკანკალდათ?“ უთხრა გესლიანად გრაფის მეუღლემ და დაუმიზნა, დააცემინა და ცალი ყური მარკიზის მეუღლისა თან ტყვიას გაატანინა პოლინიაკის მეუღლე, რასაკვირველია, კმაყოფილი დარჩა, რომ თავისს მეტოქეს ასეთი დაღი დაასვა. ველარ შეეცილებოდა: კაცს მხოლოდ ყმა მოსწონს ყურ-მოჭრილი, ქალი-კი არასოდეს...

უნდა ავღიაროთ-კი, რომ ქალები უფრო გულ-კეთილნი და გულ-ჩვილნი არიან, ვიდრე კაცები. მხოლოდ ერთ არტისტ ქალზე მოგვითხრობენ, რომელიც სწორედ რომ ღვთის რისხვა ყოფილა. ვაი იმ ვაჟკაცის დღეს, რომელიც ერთხელ გაიცნობდა ამ ქალს, გაუარშიყდებოდა და მერე გაჰბედავდა თავის დანებებას, — მაშინვე ხმალში გამოითხოვდა და შეუბრალებლად დაჰკლავდა. თორემ უმეტესობა იმასა ჰკმარობს, რომ მეტოქეს სახე დაუჩეროს, ცოტა ცხვირი შეათალოს, ყური მოაგდებინოს, ან სხვა ნიშანი დააჩნიოს. დასახიჩრებული, ლაქა-დასმული, რასაკვირველია, ველარ შეეცილება, — და ამის მტერსაც ხომ მეტი არაფერი უნდოდა!.. სიკვდილს ხომ, თუნდაც „სახელოვანსა“, სიცოცხლე სჯობს ყოველთვის, თუნდაც „ნაძრახი“!..

**

ბოლოს ვიხდი, რომ ქალებიდგან პირდაპირ გარეულ, განადირებულ ხალხზე გადავდივარ. თუმცა სწორედკი მოგახსენოთ, ეს გარეულები თვით ქალებსაც-კი არ ჩამოუვარდებიან გულკეთილობაში.

ხმალში გასვლა მარტო განათლებულების საკუთრება არა ყოფილა. ჩრდილოეთ ამერიკაში, სრულებით განაპირას, სადაც ნახევარ წელიწადზე მეტს ზღვა სრულებით გაყინულია, სცხოვრებს გარეული ხალხი, რომელსაც ესკიმოსებს უწოდებენ სახელად, — და აი წარმოიდგინეთ, რომ ამ გარეულ ხალხსაც-კი სცოდნია ხმალში გასვლა, მხოლოდ ეს ხმალში გასვლა სრულიად უწყინარია და უფრო ადამიანურიც. თუმცა ხმალში გასვლას ვეძახით, მაგრამ აქ არც ხმალი იხმარება და არც სხვა იარაღი. ამათი ხმალში გასვლა უფრო ჰკუის ტრიალია, ვარჯიშობა, ჯიბრი.

შეურაცხყოფილი, ან ვინც ასე სთვლის თავისს თავს, შეჰყრის ხალხს და გამოიწვევს თავისს შეურაცხმყოფელს. ორსავე თავ-თავიანთი მომხრეები ჰყავსთ. ჯერ დაიწყებს პირველი ხმამაღლა სიმღერას, ყველანი ყურს უგდებენ. სიმღერაში ისეთი სიტყვები უნდა იხმაროს, რომ ხალხი გააცინოს და თავისი მოპირისპირეც გაჰკიცხოს, შეარცხვინოს. რაც უფრო მოხერხებულს, მოსწრებულს სიტყვებს იტყვის, მით უფრო ბევრს მოიმხრობს თავისკენ. თუ ვერ მოახერხა, ან დააივიწყდა რამე, მომხრეები წარჩურჩულებენ. გაათავებს ერთი და დაიწყებს მეორე, ისიც იმ გვარადვე. ამ სახით ეჯიბრებიან ერთმანეთს სიმღერაში და მოსწრებულ სიტყვების მოგონებაში. ვინც გამარჯვებული დარჩება, მართალიც ის არის. ხალხი დამარცხებულს ჰკიცხავს და სდევნის, გამარჯვებულს-კი ასაჩუქრებს. ამ საჩუქარსაც დამარცხებულს წაართმევენ.

მითხარით, რით არა სჯობია ეს მახვილის სიტყვის ტრიალი ნამდვილს ხმლის ტრიალს?! რითა სჯობია ამ გარეულს ესკიმოსს, მომღერალს, მოსწრებულის სიტყვებით მეომარს, თუნდ აი ზემოთ მოყვანილი მარკიზი ლიგრანი, რომელიც ქუჩა-ქუჩა დაძიძგილაობს და უდანაშაულოდ ხალხს ჰხოცავს?

არავინ დამწამოთ, რომ ადამიანის გარეულობას ქება-დიდებას ვასხამდე, თუნდაც გამოჩენილი ჟან-ჟაკ რუსსო მემოწმებოდეს ამას, — არა! თუმცა ამასკი გაბედვით ვამბობ, რომ ზოგიერთი ჩვეულება, თუნდ გაგარეულებულის ესკიმოსისა, გაცილებით მირჩევნია თუნდ მეტად გაშინაურებულ ევროპიელის ჩვეულებას...

დონ-იაგო

— მეტად ბარბაროსული დუელი ჰქონიათ გველვაში, ისპანიაშია, ორს ყმაწვილს კაცს, ქვისლებს; ეს ყმაწვილნი კაცნი წაჩხუბებულან და გარდაუწყვეტიათ შემდეგის პირობით იბრძოლონ: მარჯვენა ფეხი ორივე მებრძოლისა მეტოქის მარცხენა ფეხზედ უნდა იყოს ბრძოლის დროს მიბჯენილი და ამ მდგომარეობაში უნდა სცენ ერთმანეთს ხანჯლები იმ დრომდის, ვიდრე ერთ-ერთი მკვდარი არ დაეცემა დედამიწაზედ. ეს პირობა სისწორით დაუცავთ. თითოეულს შვიდ-შვიდჯერ მოუსწრიათ დაკვრა; ერთი იქვე გარდაცვლილა და მეორე უნუგეშოდ მდებიარეა თურმე.

◆◆

## გასართობი

კაცობრიობა, იმ ერთს არაკში მოხსენებულ გმირივით, წუთობით-კი არა, საათობით და წუთობით წინ მიდის, დღე ყოველ და ჟამ ყოველ ისეთს ახალს, უნახველისთვის დაუჯერებელს, თუმცა-კი მართალს, რაღაც მანქანას გამოატყვრენს, რომ უწინდელს დროში ამისთანა ქვეყნის ძალ-დატანებისათვის უქმი და მოსაქმე ენები კუდს გამოაბამდნენ და ოჯყალი ჯადოსავით ცეცხლში გადაუძახებდნენ ადამიანს, ვითარცა კვინტილის გამკეთებელს და კატაზედ ამხედრებული როკაპის მეჯლისზედ მოსიარულეს. აი ეხლა კიდევ ჩიკაგოში გამოუგონიათ ერთ გვარი მაანგარიშებელი მანქანა, „Comptometer“-ად წოდებული. ეს მანქანა თვით უეძნელესს მათემატიკურს ამოცანებს ერთს წუთას გამოიგნებს თურმე სწორედ და უტყუარად. მანქანა სიგრძით, დაახლოვებით რომ ვსთქვათ, $14^1/_2$ გოჯია, სიგანით $7^1/_4$, სიმაღლით 5 გოჯი, წონით 8 გირვანქა მოდის და ადვილად შესაძლებელია უბრალო სტოლზედ მოთავსდეს. ეს მანქანა ამას წინად ვაშინგტონის სახაზინოში გაუსინჯავთ და ძალიან მოსწონებიათ.

**

ეს კიდევ რა, აი მეორე ამისთანავე საკვირველი ამბავი: ამას წინად გამოჩენილ ედისონთან მისულა ერთი მეგობარი იმისს მამულს ორანჟეში. მთელი სალამო ელექტრონზე ბაასით შეუქცევიათ თავი. როცა სტუმარი მოუსვენებიათ, ჩაწოლილა ლოგინში და წამოუფარებია თუ არა საბანი, ვიღასიც ხმა მოსმენია:

— ეხლა თერთმეტი საათია.

შეშინებული სტუმარი წამოვარდნილა ფეხზედ, ელექტრონის ლამპარი აუნთია და დაუწყია ოთახში ძებნა ამ სიტყვების მთქმელისა, მაგრამ ვერავინ უპოვნია და წასულა თითონ ედისონთან ამ საოცარ ამბის საუწყებლად. ედისონს დაურწმუნებია, რომ მაგ ოთახში თქვენს მეტი არავინ არისო. როცა სტუმარი ისევე დაბრუნებულა თავისს ოთახში, გული იმითი დაუდინჯებია, რომ უეჭველია შემომესმაო, და ჩაუთვლემნია, კვლავ მოსმენია იგივე ხმა, რომელსაც უთქვამს:

— ეხლა სწორედ შუაღამეა. მოემზადე სიკვდილისათვის.

ეხლა-კი ეჭვიც აღარა ჰქონია სტუმარს, რომ ოთახში უეჭველად ვინმე უნდა იყოსო, მაშინვე წასულა ხელ-ახლად ედისონთან და უთქვამს:

— ედისონ, თქვენს სახლში რაღაც უცნაური ამბავი ხდება. [illegible]

გაღიმებული ედისონი გამოუძღვა და უჩვენა პაწაწინტელა ფონოგრაფი, [illegible]

[illegible]

კაცობრიობა დროებით შეისრულებს, როცა ჩვენის ნატამალის ხსენებაც არ იქნება, მაგრამ სასურველი-კია ეხლავე გამოიგონონ ერთი ისეთი მანქანა, რომელშიაც შეიძლებოდეს შავროვებისა და სანდალების ჩარხით გატარებ-გამოტარება, განახლება, იმათის ტვინის მოწყობილობის გადაკეთება, გარდაქმნა ისე, რომ თავიანთი სისულელე თითონვე სისულელედ მიაჩნდეთ და არა მეცნიერების უკანასკნელ სიტყვად.

◆

# დეპეშა

24 სექტემბერი

**პეტერბურგი.** მკვლელს ქ-ნის მიკლუხა-მაკლაისას კოროლევს გარდაუწყვიტეს კატორგა 20 წლის ვადით.

**სამარა.** პოლიციის წინააღმდეგობისათვის სასამართლო პალატამ მიუსაჯა ერთს ბრალდებულს სატუსაღო როტები ერთის წლით, სამს—ორის თვეით ციხეში დამწყვდევა, ორს—ორის თვეით პოლიციაში დატუსაღება.

**პარიჟი.** დეპუტატმა ანდრიემ მიჰმართა იუსტიციის მინისტრს წერილით და სთხოვს, დაიწყეო სასამართლო გამოძიება დეპუტატ ქილლის მიერ სიბიუჯეტო კომმისიაზე შეწამებულის ბრალისა გამო, ვითომც კომისია სტყუოდეს და ფლიდობდეს,— და მიეცი ქილლი ნაფიც მსაჯულთა სამართალს.

**პარიჟი.** ოფიციოზური გაზეთები ამბობენ, რომ დეკრეტი, რომელიც საფრანგეთში მყოფ უცხოელებს შეეხება, მიმართულია მხოლოდ იმ მაწანწალათა წინააღმდეგ, რომელნიც ოლონდ დამნაშავეთა რიცხვს ამრავლებენ. ფლურანსი ამბობს, რომ ეს ღონისძიება ცხოვრებაში გამოუყენებელია და ნაადრევიაო.

**სტამბოლი.** დღეს ხელ-მოწერილ იქმნა პირობა, რომელიც შეჰკრა ოსმალეთის მთავრობამ გერმანიის ბანკის წარმომადგენელს კაულთან. კაულმა უნდა გაიყვანოს იზმიდ-ანგორის რკინის გზა.

**სიმლა.** 1-ლის ექსპიდეციის ჯარის მეოთხე ნაწილმა, რომელიც შავს მთებში აჯანყებულ ტომთა წინააღმდეგ გაემართა, დაიპირადლეს, ძლიერის ბრძოლის შემდეგ, კატკოი. მოკლულ იქმნა ერთი ინგლისის კაპიტანი და დაიჭრა ორი პორუჩიკი. დღეს დილით მესამე ნაწილს ჯარისასაც ჰქონდა მტრებთან ბრძოლა, რომელშიაც ინგლისელთა მხრივ [illegible] «სიპაი».

**ვენა.** ხმა დადის, რომ იმპერატორმა ფილიპმა [illegible] რუსეთთან [illegible] და ეს გარემოება ბოლგარეთის საქმის მორიგებას [illegible]

**ლვოვი.** პოლონური გაზეთები წინადადებას [illegible] გალიციის რუსინებს, რომლებიც [illegible] დავბადოთ და გავაჩინოთ გალიჩინაში გალიჩანების ინტელიგენცია.

პეტერბურგის ბირჟა, 23 სექტემბ

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 52 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | $149^1/_4$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 16 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | 97 „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | 97 „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.

სექტემბერი 30 დღით არის.

25 დღე კვირა. ღირსისა ეფროსინესი და სერგეისა. კათოლ. კლეოფასი. სომეხ. მოვლენა ჯვარისავარაკის მთაზედ. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მუსულ. მე-2 რიცხვი თვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.— ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს, 1768 წ.— ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47. ტფილისში მზე ამოდის 6—4, ჩადის 5—29. მთვარე 3 დღისაა.

26 დღე ორშაბათი. მიცვალება მოც.-მახ. იოანე ღვთის-მეტყველისა. კათოლ. ციპრიანესი. სომეხ. წმ. დავითისა. მუსულ. მე-3 რიცხვი თვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ტფილისში ძლიერი მიწის ძვრა იყო, 1804 წ.— ჭეშმარიტი შუა-დღე 11—48. ტფილისში მზე ამოდის 6—5, ჩადის 5—31. მთვარე 4 დღისაა.

27 დღე სამშაბათი. წამ. კალისტრატესი. კათოლ. წმ. სტანისლავისა. მუსულ. მე-4 რიცხვი თვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—48 ტფილისში მზე ამოდის 6—6, ჩადის 5—26 მთვარე 5 დღისაა.

28 დღე ოთხშაბათი ღირსისა ხარიტონისა. კათოლ. ეპ. სოლომონისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-5 რიცხვი თვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა. —ნება დართულ იქმნა, რომ ტფილისში გამოიცემოდეს სომხური გაზეთი „არარატი“, 1849 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47. ტფილისში მზე ამოდის 6—7 ჩადის 5—27. მთვარე 6 დღისა.

29 დღე ხუთშაბათი. ღირსისა კირიაკესი და კიპრიანესი. კათოლ. მიხეილ მთავარ-ანგელოზისა. სომეხ. წმ. თავადთა სააკისა და ამაზასპისა. მუსულ. მე 6 რიცხვი თვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.— ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—8, ჩადის 5—26. მთვარე 7 დღისა.

30 დღე პარასკევი. წმ. მიხეილისა, წამ. გრიგოლ ეპისკ. და მასთან ერთად 37 ქალწულთა, მათ შორის რიფსიმესი და [illegible]. კათოლ. წმ. იერონიმესი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-7 რიცხვი თვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—9, ჩადის 5—22. მთვარე 4 დღისა.

ოქტომბერი 31 დღით არის

1 დღე შაბათი, საფარველი წმ. ღვთის მშობლისა. ამ დღეს დიდ-ძალი ხალხი იკრიბება მცხეთას, 20 ვერსზედ ტფილისიდგან. კათოლიკეთა ევგენიასი. სომეხ. თორმეტთა მოწაფეთა ქრისტესათა. მუსულ. მე-8 რიცხვი თვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.— დაარსდა ტფილისის სასულიერო სემინარია, 1874 წ.— უმაღლესად ნებართვა გამოვიდა, რომ ეჩმიაძინში დაარსდეს სასულიერო აკადემია, 1874 წ.— ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—10, ჩადის 5—22. მთვარე 8 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე

| | | | |
|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | | $3^1/_2$ | „ |
| „ 2 | „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | 5 | „ |
| „ „ 2 — | | 4 | „ |
| „ „ 3 | „ | $3^1/_2$ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა | | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | | 4 | „ |
| მე-3 — | | „ | „ |
| ძროხის ხორცი | | 8 | „ |
| „ 2 | „ | 7 | „ |
| სუკი | | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 8 | „ |
| ღორის ხორცი | | „ | „ |
| „ 2 | „ | „ | „ |


# განცხადებანი

ტფილისის საბალოსნო სკოლაში,

საცა ხეხილის გასაშენებელი ბაღი იყო, მუშტაიდის გვერდზე,

ვტვირთულობთ მომზადებას

ფოთლებისა, ყვავილებისა და მწვანილისაგან დაწნულის ხვეულებისას, ანუ გირლიანდებისას ფანჯრებისა, კარებისა, კედლებისა და სხვათა მოსართავად. იქვე ისყიდება ყოველ გვარი მცენარე და ფოთლები სახლების მოსართავად. (10—9)

გამოვიდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

## მამიდა ასმათი

მოთხრობა

გ. წერეთლისა.

გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.

ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

## რვეულები ქართულის წერისათვის,

გოგებაშვილის დედანთან სახმარებელი, დაიბეჭდა და გამოვიდა პირველი და მეორე ნომერი. მესამე ნომერიც მზადდება.

ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა, ხიდეკელისა და იზმიროვის მაღაზიებში და აგრეთვე „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში; ქუთაისში—ჭილაძესთან

ფასი რვეულისა ერთი შაური.

ასპიდის ფიცრები ქართულის წერისათვის ისყიდება იზმიროვისა, გრიქუროვისა და ხიდეკელის მაღაზიებში და „წერა-კითხვის“ კანცელარიაში. (6—3)

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის.

წელიწადი მეშვიდე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებსა და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1888—89 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყობა 25 სექტემბრიდამ; ახლად შემოსასვლელთა მიღება დაიწყება 15 სექტემბრიდამ, ყოველ დღე სალამოს 4 საათიდამ 8 საათამდე კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, ათთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს ტფილისს. (12—10)

### Въ центральной книжной торговлѣ, въ Тифлисѣ, находится складъ н'жеслѣдующихъ книгъ:

**Захаровъ.** Собраніе примѣровъ для письменнаго исчисленія, изд, 8-е цѣна 20 к.

**Вересовъ.** Рисованіе по сѣткѣ. Для самостоятельныхъ занятій дѣтей въ школѣ и дома, изд. 2-е ц. 20 к.

**Дрбоглавъ.** Пособіе для первоначальнаго обученія латинскому языку, курсъ 1 и 2 классовъ. ц. 80 к.

„ Опытъ методики первоначальнаго обученія латинскому языку, курсъ 1 и 2 классовъ. ц. 80 к.

**Ракушанъ.** Arriani anabasis. Для учениковъ 3 класса гимназій и прогимназій. ц. 65 к.

**Агніевъ.** Первый шагъ въ изученіи русскаго языка для начальныхъ грузинскихъ школъ. ц. 40 к.

**Бекк.** Энциклопедія теоретической философіи. ц. 1 р. 20 к.

**Вейденбаумъ.** Путеводитель по Кавказу, съ 12 рисунками и картою Кавказа. ц. 3 р. 50 к.

**Чубиновъ.** Русско-Грузинскій словарь.

Тамъ-же заготовленъ большой запасъ учебниковъ къ предстоящему учебному году. (5—4)


Доз. ценз. Тифлисъ, 24-го Сентябрь 1888 года. სტამბა გ. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე